

# დ რ მ ე ბ

## სურათებიანი დამატება

გაზეთის № 81.

კვირა, 11 აპრილი 1910 წ.

დამატების № 15

### მსხვერპლი

დრამა 3 მოქმედებად, სოფლის ცხოვრებიდან.

(შემდგები \*)

**გაბო.** მე მაინც ერთ სიტყვას გეტყვით. ე ჩვენი პრისტავი მაინც არც ისეთი ცუდი კაცია; ე ჩვენი მებატონეც ხომ აქ არის, და პრისტავსაც დიდი ხათრი აქვს იმისი, აღამიანები არიან, შებრალებაც ექნებათ... ამოვირჩიოთ ერთი ხუთიოდე კაცი, გავგზავნოთ ახლავე, კნიაზიცა ნახონ, პრისტავიცა, შეაბრალონ ჩვენი თავი, აუხსნან, დააჯერონ, რომ ჩვენ აქ არაფერ უშუაში არა ვართ... ეგები შეგვიბრალონ. თუ არა და, რაც მოხდება, მოხდეს...

**საქო.** ავაშენოს ღმერთმა გაბოჯან, ვანა ტყუილათ იტყვიან, რომ „ძველი ოქრო ახალსა სჯობსო!“ თელეთის მადლმა, მართალს ამბობ!


**მამას.** აბა რას იტყვით? თანახმა ხართ ავირჩიოთ კაცები?

**სვიმ.** ავირჩიოთ, ავირჩიოთ, თორემ დროც მიდის. (ისმის; სმები „ავირჩიოთ, ავირჩიოთ“).

**მამ.** ვის ირჩევთ? (ისმის. სმები: „გასუსს“, „გაბუსს“, „სვიმონსს“.) დაიცადეთ, ვერე ვერას გავიგებთ. რა გაყვირებთ. (ჩუმდებათ).

**ვანო.** ხალხო, მე უკან თავის ღღეში არა ვდგები, მაგრამ ხომ იცით, მე და გიგუსს რა თვალთაც გვიცქერიან. პრისტავი რაკი ჩვენ დაგინახავს, მორჩა, ხმასაც კი არ ამოგვალებინებს ისევ დარბაისელი კაცები ამოვარჩიოთ. მე რომ მკითხოთ, აი ერთი ჩვენი მამასახლისი უნდა იყოს, მეორე გაბუა, მესამე სვიმონა. ერთიც საქუა მივეუმატოთ...

**საქო.** ვა, ვანოჯან, მე რა დებუტატი ვარ, რას ამბობ, ორი სიტყვა ვერ მომიხერხებია... არა, ძმაო, მე ერთ



ლილი მოუკავი გიორგი სააკაძე.

(იხ. დღევანდელი ნომერი გაზეთისა)

თი საწყალი კაცი ვარ, ან შეგიბოლიან...

**გაბო.** სირცხვილიც იქნება, რომ ეგ ჩვენ ამორჩეულ კაცთ გავგზავნოთ.

**საქ.** ვა, ეს რა ხათა-ბალათ გადამეკიდა!.. კაცო, დამნებე თავი, რა გინდა ჩემგან?!

**ვანო.** კარგი ნაშ, ეს სამი კაცი ხომ გყავს აბა ერთი ორი კაცი კიდეც მოუმატოთ... (ერთ გლეხს) აი ბასილა, შენ და იორდანე... ხალხხო, თანახმა ხართ რომ ესენი იყვნენ? (ისმის: „იყვნენ, იყვნენ“).

**მამ.** მაშ კარგით. ჩვენ წავალთ და იქნება გავხდეთ რასმე... აბა წამოდი, ვინც ამორჩეული ხართ... აბა შენ იცი გაბო! შენ თუ გვიშველი... (გადასწ. მამასახლისი, გაბო, სვიმონა, ბასილა და იორდანე, ხალხი ჯგუფ-ჯგუფათ დაიყოფა. საქო დაქანში შევა, თან ორი სამი გლეხი შექმევა. დაქანის წინ დარჩებიან ვანო და მისა).

**მისა.** ეხ, ვანოჯან, შენი რჩევა გულში ძან მომხვდა. აი, ბიჭობა ეგ იქნებოდა. ეს ხო ვიცი, რომ არ აგვცდება. სახელს მაინც გავითქვამ-

ლით. ღმერთას მალემა ტყუილად წავიდნენ...

**ვანო.** გაბუამ მართალი სთქვა, ძნელია კაცის ეგრე გაწირვა. ხალხს დიდი ცოდო დაედება?.. აბა შენ რომ გრგებოდა, მერე რა პასუხი უნდა გავგვეცა შენ მოხუც დასნეულებულ მამისთვის, შენი პაწაწინა ობოლ ძმისწულებისთვის?

**მისა.** რა უყოთ. ეგრე რო უყუროთ, ვერც ერთი საერთო საქმე ვერ გაკეთდება. შენც რო გრგებოდა? შენც ხო მოხუცი დედა გყავს?

**ვანო.** ჰო, დედა, დედა! ის და დამრჩენია ამ წუთი სოფელში... მაგრამ მე რა?.. ხომ იცი... ჩემი სიცოცხლე გათავებულა. ერთ დროს ბედი თითქოს მიცინოდა... გული მაგრა მიცემდა. ქვეყანა მიყვარდა... მეგონა ჩემზე ბედნიერი

\*) იხ. სურათებიანი დამატება № 14.

არავინა... შენ იცი, და არც არა დამიმალია შენთან... შენ იცი, როგორ მიყვარდა ის გოგო, როგორ დავკანკალებდი... დამიწუნეს მე... სხვა ირჩიეს... და დამბნელდა სინათლე. აღარა მესმოდარა, აღარას ვხედავდი, მაგრამ იელაკამ, გაისმა ქუხილი, შეინძრა დედა-მიწა, ტირილი გოდება ხალხის გამარჯვების ხმით გადაიქცა. გაიღვიძა ხალხმა, გამეღვიძა მეცა დამავიწყდა ჩემი თავი, ჩემი წვალემა... და მეც ერთობამ გამიტაცა. გახსოვს ის სტუდენტი, კნიაზიანთსა რომ დაიარებოდა, როგორ გვიხსნიდა ყველაფერს... მეგონა მოვიდა ჩვენი დრო... და მეც გავიკლავე... ვმუშაობდა საერთო საქმისთვის, ვიბრძოდი... მაგრამ აქაც ყველას და მეც ბედმა გვიმტყუნა... დავმარცხდით, და უფრო მეტად ჩვენ თითონ დავეცით, დავეცით სულით და ხორციით... მზე დაგვიბნელდა... ხალხი უფრო დაჭედა... გამიტყდა მეც გული... ორ ხატს ვლოცულობდი, — ორივემ ზურგი ამიქცია... რაღა დამჩენია? განა ჩემი სიცოცხლე სიცოცხლეა... ვის რათ ვუნდივარ, ან რაღას მოველი? მე რომ წილი მრგებოდა დღეს, ჩემთვის ბედნიერება იქნებოდა...

**მიხა.** რას ამბობ, რასა, ძმაო! შენც, შენც კი გავიტყდა გული? მაშ გგონია, რომ აღარ გათენდება? თუ ღამეა, დღეც უნდა იყოს... და იქნება კიდევ! რატო ისე მოტეხილხარ? შენ, ჩვენი ბელადი ხარ, პირველი ამხანაგი, შენით ვკვებულობდით... როდესაც ვისიმე გამხნელება გვინდოდა, შენზე უჩვენებდით. რა დაგემართა?... შენც რომ ჩამოგვშორდეს, ვილა დარჩება?

**ვანო.** ჰო, მართალია ჩემო მიხა... ნუ, ნუ დაჰკარგავ იმედს, ძნელია იმედის დაკარგვა... სჯობს ისევ ჯერ სიცოცხლე დავკარგო... არ ვიცი, რა შემართება... მაგრამ ვგრძნობ, ჩემთვის ყველაფერი გათავდა... რას იტყვი შენა, რომ საუკეთესო ძმამ, ამხანაგმა, იმ კაცმა, რომელიც პატრონებით საფე გეგონა, შენი ნდობა დაჰკარგოს, სულ სხვა კაცად გეჩვენოს...

**მიხა.** დაიცა, ვიზე ამბობ, ვინ, არის ეგეთი?  
**ვანო.** არა... ისე... განა ცოტა ახლა მაგნაირი (დუქნიდან გამოიხედავს ერთი გლეხი).  
**ერთი გლ.** (ვანოს) ვანო. თუ ჩემი ხატრი გაქვს, მოდი ერთი წითელი ლენო ჩააჩუხჩუხე... მოდი შენცა მიხა...  
**ვანო.** მადლობელი ვარ, გმადლობთ, ვერ დავლევ, ქრისტეს გეფიცები... ან და რა მეღვინება ეხლა! (მოდის მამასხალოსი და აჩუხუდი კაცები. ხალხი მოკრავდება და მიუგებება. მამსვლელთ დიდი აღეფვება გუმწევათ).

**სვიმ.** ვიღუპებით, ხალხო... უკანასკნელი დღე დავიდგა... ვერას გავხდით რა...

**ვანო.** დავიტიო, რა დავიტიო... მორჩა, აღარც სამართალია, აღარც ადამიანობა. მთელი ბატონობა გამოვიარე, და ასეთი ამბავი არ დამართვია... ისეთი მათრახები მომხვდა, რომ სულ თვალთ დამიბნელდა. მაგრამ ჯანაბას ი მათრახი... ნეტა გაკეთებულყო რამე... კნიაზთან მივედი, ბევრი ვეხვეწეთ, ვევედრეთ, ისიც პრისტავთან შევიდა,

ვთხოვა, ჩვენ კარზე ვიციდით გამოვარდა ერთბაშად პრისტავი, ერთი კი დაიდრიალა, გამოცვივდნენ ტრაქნიკები, მოგვაცოლეს... ჰეუ, დედა, დედა! რა მოგვაცოლეს... რაღა გაგვეწყობოდა... ჩვენც მოვკურცხლეთ... აბა მე ჩემი დამტრეული ფეხებით რას მოვასწრობდი... ერთი ორი კი მაგრა მომხვდა... წავიქეცი... ღმერთმა უშველოს ირუს ტრაქნიკს, აღარ დაჰკრა, ამაყენა კიდევ, წადი, წადიო, და მეც ბარბაცით წამოვედი აქეთ. ის კი გავიგონე, რომ პრისტავი უყვროდა: ყაზახები წამოასხითო საყდრის კარებს რომ მივალწივთ, დავინახეთ, პრისტავი ტრაქნიკებით, ყაზახებით სუ აქეთ მოდიან. საცაა აქ მოვლენ... რა ვქნათ, რაც იქნება, იქნება...

**ვანო.** შენ, მათრახსა გცემდნენ, ვაი შენ ჩემო თავო, ჩვენ კი აქ ვიდექით... გვაბატე გამოჯან, გაბო! (გადაეხვევა აკატებს).

**ვაბო.** ე—ე, შვილო, ბებერი ძვლები ბევრს რასმე აიტანს, თუ გული მაგრაა, მაგრამ ე ოხერი გულიც გატყდა... ნეტავი მე მათრახის ქვეშ სული დამელია, და ხალხს საცოდობა ასცდნოდა... (შემოვარდება ლუკა).

**ლუკა.** ხალხო, თავს უშველეთ, მოდიან პრისტავი ტრაქნიკები... არიქა დაიფანტენით, თორემ სუ ამოგხოცავენ, (ჩაჩქაღი იწყება, ზოგი გაქცევას ახიპებს, ზოგიც სასალებისკენ იწყებს...)

**ვანო.** (ყვირის) ხალხო, რას ჩადით? მოიცადეთ, შესდექით, არა გცხვენიათ!.. ან როგორ უშველით თავს? სახლში ჩაიკეტებით? იქ-კი ვერ მოვლენ? აქ დადექით, ისევ თუ რამ უნდა დაგემართოს, ჩვენ დაგვემართოს... ცოლშვილი მანც გადავარ-


ჩინოთ... (დედაკაცებისკენ) შადით სახლებში! (დედაკაცები იმალებიან... ხალხი შესდგება და გაუჩუბუღა).

**ვაბო.** (ცოტა სიჩუმის მერე, მოისდის ქუდს, პირჯვარს იწერს) ღმერთო, ღმერთო, დიდებულო, წმინდაო სამებავ, ჩვენო სვეტის ცხოველო, მოგვხედეთ მოწყალე თვლით, დაგვიხსენით ამ განსაცდელისაგან! (ხალხში ზოგნი ქუდებს იხდახს, და პირჯვარს იწერენ. ხალხი მოკრავებუღაა. წინა დგანან: გაბუა, ვანო, მამასხალოსი, ნაცვადი, სვიმონი, მიხა. გიგუა ცოტა მოშორებით ხალხის უკანა სდგას. შემოდის ბოქაული, რამდენიმე სტრაქნიკებით. უკვლანი ქუდებს მოიხდაინ).

**ბოქ.** (ცოტა მიუახლოვდება ხალხს) აბა, რას მეტყვით, ვაღა გავიდა, მომეცით მკვლელი...

**ვაბო.** შენი ქირიმე, ბატონიშვილო, გეხვეწებით, გვედრებით, ვფიცავთ, ჩვენ არა ვიცი რა.

**ბოქ.** (ყვირის) შე ქოფაქო, კიდევ დაიწყე, არ გეყო? მაშ არ ასრულებთ ბძანებას? (მიუბრუნდება სტრაქნიკებს) Михаленко, пусть начинают! (მიხალენკო გაბრუნდება და წავაგა. ბოქაული სხვა სტრაქნიკებს უხვეუნებს გაბუაზე) Взять этого старика! (სტრაქნიკები მიიწყებენ ხალხისკენ ხალხი უკან დაიხვეს. ვანო გადუდგება სტრაქნიკებს წინ. სტრაქნიკები თაფუებს მიუშვებენ).



ვულკანის ეზონის ამოხეთქა იბალიაში.

10 წარსულ მარტს, დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ, ვულკან ეტნაზე ახალმა კრატერმა ამოხეთქა. ნაცარ-ტუტას (ლავა) ეს კრატერი 700 საყენზე ისროდა.

**ვანო.** (მაღალი ხმით, ადუღებულად) შეჩერდი! (ბოქაუჯის) მოითმინეთ ბატონო! დააბრუნეთ ის თქვენი სტრაჟნიკი... ყაზახები საჭირონი არ არიან... მე... მე... მე მოვკალ თქვენი სტრაჟნიკი... სოფელი აქ არაფერს უშაშია... მე ვარ დამნაშავე... დამიჭირეთ... (მთელი ხალხი შეკრება. ბოქაუჯი, სტრაჟნიკებიც ზარფელში დაიხრევიან. ვანო მიუახლოვდება ბოქაუჯს) კნიაზო, ვერ გაიგონე: მე ვარ მკვლელი, მე ჩავიღინე ეს საქმე... მე გამოვჭერი ყელი... დამიჭირეთ, სოფლისა რა ბრალია, მე ყველაფერს გეტყვით...

**ბოქ.** (სტრაჟნიკებს) Взять его (სტრაჟნიკები შეშეშვნიან ვანოს. ბოქაუჯი ერთ სტრაჟნიკს) ჩოხაშვილო, გაიქე ყაზახები დააბრუნე, აფიცერს მოახსენე, აღარა უნდა რა თქო, მკვლელი აღმოვაჩინე თქო... აბა ჩქარა (სტრაჟნიკი გაიქცევა. ხალხში სმაურება იწყება. გიგუას სხლის კარი გაიღება ცოტათი, გამოჩნდება ნატო კარებში ვანოს) იქნებ სტყუი? ჰა, განგებ იღებ ბრალს? (ხალხში სმაურება მატულობს).

**ვანო.** განა განგებ მაგის-თანა ცოდოს დაიდებს ვინმე?

**გაბო.** (გამოფარდება წინ, ბოქაუჯს) ტყუის, შენი ჰირი-მე ბატონო, განგებ ცოდოს იღებს... ნუ, ნუ მისცემთ მაგის ნებას... ფფიცამ მაღალ ღმერთს, ალაღ-მართალი კაცია... სოფლის დახსნა უნდა... (ვანოს) ვანო, შეილო, ნუ დაგვდებ მაგ ცოდოს. შენ სისხლს ვერ აუვალთ... ნუ წაგვწყმენდამ საშვილიშვილოთ... შენი მოხუცებული დედა მაინც ნუ გავიწყლებია!..

**ვანო** (ყვირის) ნუ, მაგას... მაგას ნუ იტყვი... გაჩუმდი... (ბოქაუჯი) მე ვარ მკვლელი, არა გჯერათ (გაბუა ახადის სიტუაციის გაგებლებას „სტყუის ბატონო, სტყუის“) ხალხნო ჰე, მე ჩავიღინე ეს საქმე... არ გჯერათ? (ბოქაუჯს) მაშ კარგით.. კნიაზო, გაგზავნეთ ვინმე, იქ ჩემ საბძელში, აქ ახლოა, თოფი და პატრონები ჰურის გოდორშია დამალული, მოატანინეთ, და მაშინ გამოჩნდება, ვტყუი თუ მართალს ვამბობ... (ამ სტენის დროს გიგუას მდელოვარება ეტყობა... ხან წინ იწევს, თითქმის ჩადაცის თქმა უნდა, ხან ისევუკან ბრუნდება. ნატო კარებშია გაშეშებული).

**ბოქ.** (ორ სტრაჟნიკს) გაიქეცით, მამასახლისო გაჰყვი... ის თოფი და პატრონები აქ იყოს ემ საათში... (მამასახლისი და ორი სტრაჟნიკი სსჩქარათ წაივლიან).

**გაბო.** (ბოქაუჯის წინ დაინქებს) ბატონო, გვედრები, ნუ დაუჯერებ, სტყუის... თუ მსხვერპლია საჭირო... აჰა ეს ჩემი უბედური თავი, მე წამიყვანეთ... მაგას ვერ დავკარვამთ, მთელი სოფლის თვალია... (ვანოსკენ) შენი ჰირი-მე, ვანოჯან, ნუ დაგვდებ მაგ ცოდოს... სჯობს მთელი სოფელი გავსწყდეთ... ნუ ჩიღენ მაგ საქმეს...

**ბოქ.** (ხალხს) წაიყვანეთ ეს ქოფაქი, მომავორეთ... თორემ არ ვიცი, რას უზამ... (სვიმონა და მისა მისცვივლებან, წამოაყენებენ გაბუას და მიჭყვით).

**გაბ.** (ხალხს) ცოდოა, ხალხნო, ცოდო, დიდ ბრალს ვიდებთ... ღმერთო სადა, ხარ, გადმოგვხედე!... ვაიმე, ვაიმე რას მოვესწარი... (შემაოჯენ სტრაჟნიკები და მამასახლისი, მოაქვთ თოფი და პატრონთაში. მიუტანენ ბოქაუჯს).

**ბოქ.** (შინჯაშს თოფს) ჰო-ო, ეს ხომ იმის თოფია...  
**სტრაჟ.** დიახ, ბატონო, იმ სტრაჟნიკის თოფია...

**ვანო.** აბა... არა გჯეროდათ, ეხლა ხომ დაიჯერეთ! რა ვქნა, გეუბნებოდით...

**ბოქ.** მე წინადვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს შენი საქმეა... აბა ახლა ისიც მითხარი: ფული რაღა უყავ? იმ სტრაჟნიკს, რომელსაც შენ ავაზაკურათ მძინარეს ყელი გამოსჭერი, ჯიბეში თუმანი ეღო... რა უყავი ის ფული?..

**ვანო.** ფული?... არ ვიცი... არ მახ... ჰო, ჰო... შემომეხარჯა, აღარა მაქვს...

**ბოქ.** (სტრაჟნიკებს) წაიყვანეთ იქ, ყაზახის აფიცერთან, და თვალ ყური აღევენეთ... თუ ვინმე მიეკარა, ან დაელაპარაკა, მაშინვე ტყვია... გასწით!

(სტრაჟნიკებს მიჭყვით ვანო ბოქაუჯი უკან მისდევს. მიუბრუნდება ხალხს). ეხლავე დაშალენით, შეგროვილი არსად არავინა ვნახო, თორემ შავ ღღეს დავაყენებთ! (მოდის. ცოტა ხანს ხალხი გაშტურებულია. გამოფარდება სხლიდან ნატო. გიგუა წინ გადაედობება და სტაგებს ხელს).

**ნატო.** მოიც... (გიგუა შიშე ხელს დააფარებს)...

**გიგო.** რას ჩადი, რა გინდა შენ აქ?!

**ნატო.** (გიგუას) ის თოფი... მე... მე...


**გიგო.** მერე... რა გინდა? გინდა მეც და შენი თავიც დალუპო! შენ რა იცი, რომ თითონ იმან არ გადმომცო თოფი?... გასწი, გასწი შინ! (ძალით შეჭყვავს სხლში) თუ ხმას (ძალით შეათრევეს. ხალხი ნელ-ნელა იშლება, სტენაზე ჩქებიახ: საქო, გაბუა, მისა, სვიმონა და ორიადე გლეხი) ..

ამოიღებ, აქვე გაგაცივებ... (ძალით შეათრევეს. ხალხი ნელ-ნელა იშლება, სტენაზე ჩქებიახ: საქო, გაბუა, მისა, სვიმონა და ორიადე გლეხი) ..

**გაბო.** ვაიმე ბიჭო! რა კაცი დავკარგეთ... ვერა გამიგიარა. სულ დავიბნიე... ვიცი, დარწმუნებული ვარ არ არი დამნაშავე... მაგრამ ეს თოფი რაღა... მოჩვენებაა... ღმერთო, შენ ყველაფერს ხედავ, შენ იცი, გულში ვის რა უღვეს... მართლა დამნაშავეა, თუ... არა, არა... ვანო?... ვანო არ ჩაიღენდა მაგ საქმეს... გული მითქვამს, აქ რაღაცა დიდი ცოდვა მოხდა... ვაი შენს დედას უბედურო ბიჭო...

**მისა.** (ცრმულით) სულით და ხორცილთ დავეციოთ... აღარ ვარგივართო... მე ვიღას რათ უნდივარო... ჰოიმე! (გულზე დაიკრავს) რა ბიჭი დავკარგეთ...

**საქო.** თელეთის მადლმა, გაბოჯან, არა მჯერა, ეგ ვანუას საქმე არ არის... როგორ გინდა დავიფიცამ... აქ რაღაც ეშმაკობაა, ვიღაც სხვა ურევია, მე ვერა გამიგიარა... (ამ დროს მისამის მარჯამის წიფილი: „შვილო, ვანო!.. მიშველეთ... დავიღუბე!“)



ვულკან ებნის ამოხეობა.

ეტნის ფერდობებზე სოფლები, ვენახები და ბაღებია გაშენებული. ამოხეთილმა ნაცარ-ტუტამ ბევრი ვენახი, ბაღი და სახლი წალეკა. ამ სურათზე წალეკილი ვენახია გადამღებული. რამდენიმე სახლიც არის დაქცეული. ხალხი, რასაკვირველია, გაიხიზნა ამ ადგილებიდან.

**გაბო.** ო, ის უბედური... რაღა პასუხი უნდა გავცეთ?..  
რა უნდა უთხრათ?.. (შემოფარდება თმა გაწეწილი მარიამი,  
თან რამდენიმე დედაკაცი მისდევს)

**მარ.** ხაღხო, ხაღხო!.. რა მიყავით!.. ვაიმე შეილო!  
ვანო, შენი სულის ჭირიმე, რა მიყავ, რაზე მომკლი?!  
ხაღხო, არ გებრალეებით... რა დაგიშავეთ! ვანო, ვანო-  
ჯან, ჩემო სიკოცხლე, მე რაღა ვქნა, რა წყალში ჩავარ-  
დე... მითხარით, რა შეგშურდათ ჩემი, საცოდავ ქვრივ-  
ოხრისა?! ერთათ-ერთი შეილი მყავდა, ისიც წამართვით...  
მთელი თავის სიკოცხლე, ჯანი, გონება თქვენ შეგწირათ  
და თქვენვე დაღუბეთ... ვაიმე შეილო! (იღვს თავ-მარში.  
დედაკაცები იჭკრენ).

**გაბო.** საბრალოვ, უბედურო, რაღა სიკოცხლე გინდა  
შენ... დავიღუბენით... შენ შეილი დაჰკარგე, და მე?...  
შეილიც, შეილზე მეტიც, და სულიც თან მივაყოლე...  
იტირე, იტირე შე უბედურო, სხვა რაღა დაგრჩენია...  
(დედაკაცებს) წაიყვანეთ სახლში... ცოდოა აქ...

**მარ.** (უგტრათ წამოხტება... გაიწეწს) გამიშვით!.. გამი-  
შვით... მეც იქ წავალ... მეც იმასთან მომკლან!.. შეილო!  
შენი ჭირიმე, რა მიყავ?... (დედაკაცები მოჭხევევენ ხელებს და  
მიჭყაფთ. მარიამი ტიჩის) შეილო, ჩემო კარგო, ჩემო მშვე-  
ნიერო, ნეტა ერთხელ კიდევ მენახე... (მიდიან. მისა, გაბუა  
და სვიმონა მისდევენ. რჩება მარტო საქო).

**საქო.** ღმერთის მადლმა, ქვეყანა გადაბრუნდა... აღა-  
რა გაიგებარა... მაგრამ ბაშხადურ ბიჭო! ბიჭობაც ასეთი  
უნდა... ამ ოხერ ადამიანის გულს რამდენი შესძლებია...



**ივ. ხაჩატურიანი.** ამდენი ყფის შემდეგ ძლივს ვიზოვნე ამხანაგი.  
**კუსტინიანი.** რა გამოვიდა, ჩვენვე-კი შევრცხვით და თავზე ლაფი  
დავისხით...



**შპვრანძელი** (შეიარაღებული კეტით, მათრახით და რეზინით, არყით  
გამობრუქული, ღრიალებს, ვითომ მღერის):  
მთელ რუსეთსა ფეხითა ვსრეს,  
გავიკეთე ყველგან ბინა,  
მე რომ „პაგრომს“ დავაპირებ,  
დამიდგება ვერვინ წინა,  
ვერას მაკლებენ ვერაფრით,—  
სჯობნის ყველას ეს რეზინა!...

ვა, ვა, ვა, არა, ერთი როგორ წამოიძახა: „მე ვარ მკვლე-  
ლიო!“ ჰეი... პა, პა, პა! შენი სულის ჭირიმე... ვენაცვა-  
ლე იმ ძუძუებს, რომელმაც შენისთანა ბიჭი გამოზარდა...  
ჰეი, ჯან, ჯან! ძლიერი ყოფილა ადამიანის სული... ჯანა-  
ბას, ნისია დამეკარგა, კადევ ორჯელ მაგდენი დაკარგული-  
ყო... ვა, თელეთის მადლმა, რა ბიჭობაა... ტილიანი გლე-  
ხი და ვერე... რა ძალა ჰქონია ამ ოხერ ადამიანის გულს!..  
(მიბრუნდება და მიდის დუქნისკენ) მაგრამ... ის თოფი.. საი-  
დამ, როგორ?... ვერა გამიგიარა...

**ი. გედევანიშვილი.**

**ფ ა რ დ ა .**  
(შემდეგი იქნება)

